



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

დაბა ქედა

N 12

13/02/2018

12-04-4-201802131726



„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული  
თანასწორობის ხელშეწყობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის  
დამტკიცების შესახებ“

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“  
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით  
დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის  
გათვალისწინებით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული  
სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ფინანსური უზრუნველყოფის  
მიზნობრივი პროგრამა თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით  
დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ  
კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში  
ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის  
გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის  
ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის  
მიზნობრივი პროგრამა**

2018 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

**1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:**

„გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა“

**2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

„01 მარტი“ 2018წ.

„31 დეკემბერი“ 2018წ.

**3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი**

5300 (ხუთიათას სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

**4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები**

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი – 5300 (ხუთიათას სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

**5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

**6. ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი.**

1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

2) წერილობითი მოთხოვნა.

3) მიღება-ჩაბარების აქტი.

4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

**7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:**

პროგრამა შემუშავებულია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N 341 დადგენილების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანაშ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, ოჯახში ძალადობა, გენდერული დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ.

ქვეწის მასშტაბით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ოჯახში ყოველი მე-11 ქალი ძალადობის მსხვერპლია და ქალთა 35% აცხადებს რომ განუცდია მეუღლის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევა. განსაკუთრებით პრობლემატურია, რომ ქალთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური საკითხია და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს, რასაც არც თუ ისე იშვიათად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

მიუხედავად ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაუმჯობესებისაა, ქედის მუნიციპალიტეტში ქალები არ არიან ჯეროვნად ჩართულნი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

გენდერული დისბალანსი დაბადებისას ქალთა დისკრიმინაციის მაჩვენებელია და სქესთა შორის დარღვეული ბალანსის მიხედვით საქართველო იმ ქვეყნების ჯუფში ხვდება, სადაც გოგონები დაკარგული არიან დაბადებისას.

ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე პროგრამის მომზადება და აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში 2018 წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებასმოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

#### **8. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

<b>№</b>	<b>პროგრამის მიზნები</b>	<b>მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები</b>
1	საჯარო და კერძო სფეროში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რომელიც გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებასმოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.	<ul style="list-style-type: none"> <li>- მიზნობრივი სეგმენტების წევრთა სოციალური გაბედულობა საკუთარი ინტერესების გარკვევისა და დაცულობის დონის ზრდა;</li> <li>- მიზნობრივი სეგმენტების წვდომის ზრდა მათთვის საჭირო ინფორმაციაზე;</li> <li>- ოჯახური ძალადობისა და გენდერული ჩაგვრის რაოდენობის შემცირება;</li> <li>- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლების ინფორმირება გენდერული თანასწორობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, მათ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გამოყენება.</li> </ul>

#### **9. პროგრამის ბიუჯეტი**

##### **ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით**

	<b>წყაროს დასახელება</b>	<b>2018 წელი</b>	<b>2019 წელი</b>	<b>2020 წელი</b>	<b>სულ</b>
	ძირითადი ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი				
	დამატებითი X	5300	X	X	5300
	სულ	000			5300

8) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	ღონისძიების ჩამონათვალი	შესრულების დრო	პასუხისმგებელი	თანხა	შენიშვნა
1	„ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღე“.	ოქტომბერი	ადმინისტრაციული სამსახური	240	ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს გოგონათა უფლებების აღიარებასა და დაცვას, განათლების ხელშეწყობას, მათი შესაძლებლობების გაზრდას.
2	„ტოლერანტობის საერთაშორისო დღე“	ნოემბერი	ადმინისტრაციული სამსახური	780	მისი მიზანია არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
3	საინფორმაციო კამპანია „არა ძალადობას“	ნოემბერი	ადმინისტრაციული სამსახური	800	კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმა. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით მოხდება საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან.
4	„ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“	ნოემბერი	ადმინისტრაციული სამსახური	520	მსოფლიო გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ - ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება.
5	„ჩვენ პატივს ვცემთ განსხვავებულს“	პერიოდული	ადმინისტრაციული სამსახური	930	თანასწორობის პრინციპები და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა.
6	ქორწინება ადრეულ ასკები და მისი შედეგები	პერიოდული	ადმინისტრაციული სამსახური	440	საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნაადრევი ქორწინების შესაძლო რისკებზე და უარყოფით მხარეებზე.

7	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო- საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება	პერიოდული	ადმინისტრაციული სამსახური	440	ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცის მიწოდება.
8	„გენდერის საათი“	პერიოდული	ადმინისტრაციული სამსახური	440	ადგილობრივი მოსახლეობის, საზოგადოების გაერთიანება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპების დასაცავად, გენდერულ თანასწორობაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.
9	„ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებში“	პერიოდული	ადმინისტრაციული სამსახური	235	წარმატებული ქალების ისტორია და მათი გამოცდლების გაზიარება.
10	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	ადმინისტრაციული სამსახური	476	

10. საანგარიშო პერიოდში პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში განსახორციელებელი  
სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	საჩუქრებისა და მომსახურების შესყიდვა	2018 წელი	ელექტრონული ტენდერი	5300 ლარი	